



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 285

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს N678-N692 პუნქტები თანდართული რედაქციით:

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან ამოღებულ იქნეს N22, N85, N269 და N376 პუნქტები.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ბექა ყანჩელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და

სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
678	მიწის ნაკვეთი	თაბუკაშვილის ქუჩა N213-ის მიმდებარედ	622	03.05.25.443	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
679	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა N25-ის მიმდებარედ	111	03.01.24.593	38.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
680	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N13გ	2251	03.05.24.928	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
681	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N13გ	2283	03.05.24.929	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
682	მიწის ნაკვეთი	ბუხაიდის ქუჩის მე-2 მკრ. N25-ის სამხრეთით	50	03.01.22.305	125.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
683	მიწის ნაკვეთი	ზ. ჭავჭავაძის ქუჩა N18-ის აღმოსავლეთით	50	03.01.24.632	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
684	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა N13ა-ს ჩრდილოეთით	43	03.01.24.630	38.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
685	მიწის ნაკვეთი	ზ. ჭავჭავაძის ქუჩა N20-ის სამხრეთით	40	03.01.24.631	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
686	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გამზირი N82ა-ს აღმოსავლეთით	80	03.06.25.528	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
687	მიწის ნაკვეთი	მასურაძის ქუჩა N2-ის ჩრდილოეთით	70	03.05.25.488	104.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
688	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N15-ის მიმდებარედ	100	03.05.27.020	38.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
689	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N10ა-ს სამხრეთით	63	03.05.24.931	38.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
690	მიწის ნაკვეთი	თაბუკაშვილის ქუჩა N111-ის მიმდებარედ	541	03.05.25.482	38.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
691	მიწის ნაკვეთი	ბუხაიდის ქუჩა N12-ის ჩრდილოეთით/ბუხაიდის ქუჩა N4-ის მიმდებარედ	1289	03.01.22.303	125.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
692	მიწის ნაკვეთი	ბუხაიდის ქუჩა N12-ის ჩრდილოეთით/ბუხაიდის ქუჩა N4-ის მიმდებარედ	18	03.01.22.301	125.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში